საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ანა ლორია – კოლეგიის თავმჯდომარე

ნათია ჩიტაშვილი – კოლეგიის წევრი

ინგა ნებიერიძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ადვოკატი სალომე აბესლამიძე /სიითი №7894/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 02.05.2023

საჩივრის რეგისტრაცის ნომერი: №037/23

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ალექსანდრე გიოშვილის /სიითი №2541/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ალექსანდრე გიოშვილისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას 2023 წლის 02 მაისს საჩივრით მომართა ადვოკატმა სალომე აბესლამიძემ და მოითხოვა ადვოკატ ალექსანდრე გიოშვილისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო ეთიკის კომისიის 2023 წლის 25 ოქტომბრისა და 30 ოქტომბრის განხილვის კოლეგიის სხდომებში.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ის რამდენიმე მიმდინარე სამოქალაქო დავაში და სისხლის სამართლის საქმეში იცავს „დაზარალებულების“ ინტერესებს სამშენებლო კომპანია შპს „ჯიექს

კვადრატის“ წინააღმდეგ, , მომჩივანის განმარტებით, კომპანიამ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და არ დაასრულა დაწყებული მშენებლობა. კომპანიას იურიდიულ მომსახურეობას უწევს მოპასუხე ადვოკატი ალექსანდრე გიოშვილი.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2023 წლის 20 აპრილს, ღამის საათებში, მას დაუკავშირდა რამდენიმე პირი, რომლებმაც სთხოვეს დახმარება კომპანიასთან წარმოშობილი უთანხმოების მოგვარებაზე. მომჩივანის განმარტებით, ვინაიდან კომპანიის წარმომადგენლებთან შეხვედრა მეორე დღესვე იყო შეთანხმებული, მან ვერ მოახერხა მინდობილობის გაკეთება, თუმცა თავად მარწმუნებლებთან და კოლეგასთან ერთად მივიდა შეხვედრაზე. შეხვედრას ესწრებოდა ადვოკატი ალექსანდრე გიოშვილიც.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ალექსანდრე გიოშვილი, თავიდანვე აგრესიით განეწყო კოლეგების მიმართ და მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრა მოლაპარაკებას ისახავდა მიზნად, ადვოკატმა ალექსანდრე გიოშვილმა ის თავიდანვე აგრესიითა და შეურაცხმყოფელი ტონით დაიწყო. ადვოკატი ალექსანდრე გიოშვილი მაქსიმალურად ცდილობდა სიტუაცია დაძაბულიყო მხარეებს შორის, მან მოითხოვა მინდობილობების წარდგენა, თუმცა თავად არ წარმოუდგენია საკუთარი უფლებამოსილების დამდასტურებელი მინდობილობა და იმის გამო, რომ შეხვედრაზე მყოფმა პირებმა ვერ წარმოადგინეს მინდობილობები, არაერთხელ უხეშად, ყვირილითა და აგრესიით მოუწოდა მოლაპარაკებაზე მისულ ადვოკატებს ოფისი დაეტოვებინათ. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ალექსანდრე გიოშვილმა მას და მასთან ერთად მისულ კოლეგას, ყვირილით რამდენჯერმე მიმართა ფრაზით, „გაეთრიეთ ოფისიდან“, „თაღლითები ხართ“, „თქვენი მონაწილეობით მოლაპარაკება არ შედგება“, პარალელურად კი ადვოკატი ალექსანდრე გიოშვილი აგრესიულად, მაგიდას ურტყამდა მუშტებს მთელი ძალით.

1.5 მომჩივანის განმარტებით, მან ადვოკატ ალექსანდრე გიოშვილს განუმარტა, რომ მინდობილობებს იმავე დღეს გააკეთებდნენ და ისე დაბრუნდებოდნენ შეხვედრაზე, რაზედაც ადვოკატი კიდევ უფრო გაბრაზდა და აგრესიული ტონით,ყვირილით გადავიდა ბილწსიტყვაობასა და სიტყვიერ შეურაცხყოფაზე. მომჩივანის განმარტებით ადვოკატი ალექსანდრე გიოშვილის მიერ გაჟღერდა შემდგომი სახის ფრაზები „თქვენ ვერ დაბრუნდებით“, „თქვენ მორიგებას ვერ გააკეთებთ“, „თქვენ დაღუპეთ ეს კომპანია“. საჩივრის ავტორის თანახმად, ოფისში ფიზიკური დაპირისპირების საფრთხე წარმოიშვა, რასაც მოჰყვა კომპანიის მენეჯერისგან ფიზიკური შეურაცხყოფაც და ოფისიდან მათი, მარწმუნებლებისგან განცალკევებით, ძალისმიერი გამოყვანა. მომჩივანის განმარტებით მან დაუყოვნებლივ გამოიძახა საპატრულო პოლიცია და ფაქტთან დაკავშირებით დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს გამოძიება.

1.6 მომჩივანმა საჩივარს დაურთო დაპირისპირების ამსახველი ვიდეო ჩანაწერი, რომელიც, მისი განმარტებით მას შემდეგ გადაიღო, რაც ოფისში ფიზიკური დაპირისპირების საფრთხე წარმოიშვა. მომჩივანის განმარტებით, იმ მომენტიდან, როცა მან ვიდეო გადაღება დაიწყო და ხმამაღლა გააჟღერა ამის შესახებ, ადვოკატი ალექსანდრე გიოშვილის ქცევა რადიკალურად შეიცვალა და მან შეწყვიტა კოლეგების მიმართ შეურაცხმყოფელი ქმედებების განხორციელება,

თუმცა მომჩვანის განმარტებით, ვიდეოჩანაწერი ნათლად ასახავს ალექსანდრე გიოშვილის თავდაპირველი პროვოკაციული ქმედების ფრაგმენტსა და მის შედეგს.

1.7 საჩივრის ავტორის თანახმად აღნიშნული ინციდენტის შემდგომ, არცერთმა მარწმუნებელმა მასთან არ გააფორმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, რაც მომჩივანის განმარტებით, სწორედ ადვოკატი ალექსანდრე გიოშვილის მიერ პროვოცირებულმა ინციდენტმა განაპირობა.

1.8 საჩივრის ავტორის შეფასებით, ადვოკატი ალექსანდრე გიოშვილი ცდილობდა ადვოკატების რეპუტაციის შელახვას მათივე მარწმუნებლების თანდასწრებით და აყენებდა მათ სიტყვიერ შეურაცხყოფას, მიზანმიმართულად გაამწვავა სიტუაცია და მიიყვანა ის ფიზიკურ დაპირისპირებამდე. საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ ადვოკატის ქცევა არ შეესაბამება ადვოკატის პროფესიულ ეთიკას და ითხოვს მოპასუხე ადვოკატ ალექსანდრე გიოშვილის დისციპლინირებას.

2. სალომე აბესლამიძის მოწმის, ვანო ჩიტაშვილის განმარტება:

2.1 განხილვის კოლეგიის 2023 წლის 30 ოქტომბრის სხდომაზე საჩივრის ავტორის მოწმემ, ვანო ჩიტაშვილმა, განმარტა, რომ ის, როგორც მოლაპარაკებაზე მისული მხარე (დაზარალებული), შეესწრო ადვოკატ ალექსანდრე გიოშვილისა და ადვოკატ სალომე აბესლამიძისა და მასთან თანმხლები ადვოკატის დაპირისპირების ფაქტს. ვანო ჩიტაშვილის განმარტებით, შპს „ჯიექს კვადრატთან“ წარმოშობილი უთანხმოების მოსაგვარებლად ის და მის მსგავსად, საერთო პრობლემის წინაშე მყოფი რამდენიმე პირი, დაუკავშირდა ადვოკატ სალომე აბესლამიძეს და სთხოვა კომპანიის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე მათი ინტერესების წარმოდგენა. ვანო ჩიტაშვილის განმარტებით, მოლაპარაკების დაწყებისთანავე, ადვოკატი ალექსანდრე გიოშვილი აგრესიით გამოირჩეოდა კოლეგების მიმართ, უყვიროდა მათ და მოლაპარაკების მაგივრად მაქსიმალურად ცდილობდა სიტუაციის გამწვავებას. მას შემდეგ რაც მხარეებს შორის დაიძაბა მდგომარეობა, ადვოკატმა ალექსანდრე გიოშვილმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა კოლეგებს და ბილწი სიტყვებით მოიხსენია ისინი.

2.2 საჩივრის ავტორის შეკითხვაზე, თუ როდის იყო პირველი შეხვედრა საჩივრის ავტორსა და შპს „ჯიექს კვადრატთან“ მოლაპარაკებების პროცესში მყოფ პირებს შორის, მოწმემ განმარტა, რომ შეხვედრა შედგა 2023 წლის 20 აპრილს, Facebook აპლიკაცია „მესენჯერის“ საშუალებით.

2.3 საჩივრის ავტორის შეკითხვაზე, ჰქონდა თუ არა მისი მხრიდან ადგილი ინფორმაციის მიწოდებას, რომლის თანახმადაც შესაძლებელია შპს „ჯიექს კვადრატის“ წარმომადგენლებს დადებითად არ მიეღოთ საქმეში მისი ჩართვა, ვანო ჩიტაშვილმა აღნიშნა, რომ ადვოკატმა ნამდვილად მიაწოდა მათ აღნიშნული ინფორმაცია, თუმცა ჯგუფის ყოველი წევრის სურვილი იყო, რომ მათი ინტერესები ადვოკატ სალომე აბესლამიძეს დაეცვა.

2.4 ადვოკატ სალომე აბესლამიძის შეკითხვაზე, თუ ვისთან იყო შეხვედრა ჩანიშნული 2023 წლის 21 აპრილს, მოწმემ განაცხადა, რომ შპს „ჯიექს კვადრატის“ დირექტორთან და აღნიშნული კომპანიის ადვოკატთან - ალექსანდრე გიოშვილთან. მოწმის თანახმად, ის ადვოკატ ალექსანდრე გიოშვილს პირადად არ იცნობდა, თუმცა წინა შეხვედრებზეც ჰყავდა ნანახი.

2.5 საჩივრის ავტორის შეკითხვაზე, ხომ არ ჰქონდა, 2023 წლის 21 აპრილს გამართულ შეხვედრაზე, მისი მხრიდან რამე ისეთი სახის პროვოკაციულ ქმედებას ადგილი, რამაც ადვოკატ ალექსანდრე გიოშვილის გაღიზიანება გამოიწვია და სიტუაცია გაამწვავა, მოწმემ განმარტა, რომ საჩივრის ავტორის მხრიდან მსგავსი სახის ქმედებას არ ჰქონდა ადგილი. ადვოკატი ალექსანდრე გიოშვილი საჩივრის ავტორის დანახვისთანავე განეწყო აგრესიულად, რამაც მისი გაკვირვება გამოიწვია, რადგანაც წინა შეხვედრებზე, რომელსაც არ ესწრებოდა საჩივრის ავტორი, ალექსანდრე გიოშვილის მხრიდან ადგილი არ ჰქონია აგრესიულ ქმედებებს.

2.6 ადვოკატ სალომე აბესლამიძის შეკითხვაზე, რომლის თანახმადაც ის ითხოვდა, რომ მოწმეს გაეხსენებინა თუ კონკრეტულად რა ფრაზები გააჟღერა ადვოკატმა ალექსანდრე გიოშვილმა, 2023 წლის 21 აპრილს გამართულ შეხვედრაზე და ასევე ჰქონდა თუ არა სიტუაციის განმუხტვის მცდელობა ადვოკატ სალომე აბესლამიძეს, მოწმემ განმარტა, რომ ადვოკატ ალექსანდრე გიოშვილის მხრიდან იყო აგრესია, კატეგორიული მოთხოვნა, რომ დაეტოვებინათ შეხვედრა, რომ მას არ სურდა საჩივრის ავტორთან ერთად მოლაპარაკებების წარმოება და გაჟღერებული იყო ფრაზა „გაეთრიეთ ოფისიდან“, როგორც ადვოკატ სალომე აბესლამიძის, ასევე მისი კოლეგის მიმართ, რომელიც ადვოკატს თან ახლდა. მოწმის განმარტებით, მოპასუხე ადვოკატმა, ასევე მათ მიმართა უშუალოდ, შემდეგი სიტყვებით - „თუ თქვენ მაგათთან (მომჩივან ადვოკატთან და მის კოლეგასთან) ერთად იქნებით, ვერაფერს მიიღებთ, თანხებს ვერასდროს ვერ აიღებთ, მორიგებას ვერ მიაღწევთ“. მოწმის განმარტებით, ადვოკატი სალომე აბესლამიძე, ისევე როგორც მისი კოლეგა, ცდილობდნენ სიტუაციის განმუხტვას და ამბობდნენ, რომ შეხვედრაზე საქმიანი მოტივით იყვნენ მისულები და არა საჩხუბრად.

2.7 საჩივრის ავტორის შეკითხვაზე, თუ ვინ დატოვეს მასთან და მის კოლეგასთან ერთად შპს „ჯიექს კვადრატის“ ოფისი, ვანო ჩიტაშვილმა განმარტა, რომ ადვოკატმა სალომე აბესლამიძემ, მისმა კოლეგამ, გიორგი მაისურაძემ და მან, ხოლო ჯგუფის დანარჩენი წევრები დარჩნენ ოფისში.

2.8 საჩივრის ავტორის შეკითხვაზე, ჰქონდა თუ არა შპს „ჯიექს კვადრატის“ ოფისში მომხდარ ინციდენტს კავშირი იმასთან, რომ შპს „ჯიექს კვადრატთან“ დაპირისპირებული ინტერესების მქონე ჯგუფის არცერთმა წევრმა მასთან აღარ გააფორმა საადვოკატო ხელშეკრულება, მოწმემ განმარტა, რომ მომხდარი ინციდენტის შემდგომ, ჯგუფში მიიწერეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს, რომ სხვა ადვოკატი უნდა აეყვანათ, თუმცა ამის პირდაპირი მიზეზი, მოწმეს არ დაუსახელებია.

3. სალომე აბესლამიძის მოწმის, გიორგი მაისურაძის განმარტება:

3.1 განხილვის კოლეგიის 2023 წლის 30 ოქტომბრის სხდომაზე საჩივრის ავტორის მოწმემ, გიორგი მაისურაძემ, განმარტა, რომ ის, როგორც მოლაპარაკებაზე მისული მხარე, შეესწრო ადვოკატების დაპირისპირების ფაქტს. გიორგი მაისურაძის განმარტებით, შპს „ჯიექს კვადრატთან“ ურთიერთობაში, საერთო პრობლემის წინაშე მყოფი პირები, კომპანიის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების მიზნით, შეთანხმდენენ შეხვედრაზე. კომპანიის წარმომადგენლებისთვის

ცნობილი იყო, რომ მოლაპარაკებაზე მათ ინტერესებს წარმოადგენდა ადვოკატი სალომე აბესლამიძე.

3.2 გიორგი მაისურაძის განმარტებით, მიუხედავად შეთანხმებისა, მოლაპარაკების დაწყებისთანავე, ადვოკატმა ალექსანდრე გიოშვილმა საკუთარი კოლეგების მიმართ აგრესიით დაიწყო საუბარი. ადვოკატი ალექსანდრე გიოშვილი მოლაპარაკებაზე მისულ ადვოკატებს ხმამაღალი, აგრესიული ტონით უყვიროდა, სთხოვდა მინდობილობების წარმოდგენას და მიმართავდა შემდეგი ფრაზებით: „თქვენ აქ რა გინდათ, აქ რატომ მოხვედით“, „თქვენ ამათი წარმომადგენლები არ ხართ“. მას შემდეგ, რაც ადვოკატი ალექსანდრე გიოშვილი აგრესიულად მიმართავდა კოლეგებს და ითხოვდა მინდობილობების წარმოდგენას, სალომე აბესლამიძემ მას განუმარტა, რომ მინდობილობებს იმავე დღეს გააკეთებდნენ და შეხვედრაზე მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდებოდნენ, რაზეც ადვოკატი ალექსანდრე გიოშვილი უფრო გაღიზიანდა და ყვირილითა და აგრესიული ტონით სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ადვოკატებს, კერძოდ მიმართავდა ფრაზებით „გაეთრიეთ აქედან“, „თქვენ ამათი წარმომადგენლები ვერ იქნებით“. ადვოკატმა, ასევე მიმართა უშუალოდ მხარეებს შემდეგი სიტყვებით - „თუ თქვენ მაგათთან (მომჩივან ადვოკატთან და მის კოლეგასთან) ერთად იქნებით, ვერაფერს მიიღებთ, თანხებს ვერასდროს ვერ აიღებთ“. გიორგი მაისურაძის განმარტებით, ადვოკატ ალექსანდრე გიოშვილის მხრიდან, საკუთარი კოლეგების მიმართ ადგილი ჰქონდა ბილწსიტყვაობის ფაქტს და ის ცდილობდა დაძაბული სიტუაცია მაქსიმალურად გაემწვავებინა.

3.3 საჩივრის ავტორის შეკითხვაზე ესწრებოდა თუ არა, 2023 წლის 20 აპრილს, „Facebook-ის“ „მესენჯერ“ აპლიკაციით გამართულ ონლაინ შეხვედრას მასსა და დაზარალებულებს შორის, მოწმემ განმარტა, რომ ის ესწრებოდა აღნიშნულ შეხვედრას და ჯგუფის ყველა წევრის სურვილი იყო, რომ ადვოკატ სალომე აბესლამიძეს დაეცვა მათი ინტერესები.

3.4 ადვოკატ სალომე აბესლამიძის შეკითხვაზე თუ როგორი განწყობით დახვდნენ კომპანია „ჯიექს კვადრატის“ წარმომადგენლები და უშუალოდ ადვოკატი ალექსანდრე გიოშვილი ოფისში მისვლის დროს, მოწმემ უპასუხა, რომ მისი შეფასებით შეხვედრის დაწყებამდე კომპანია „ჯიექს კვადრატის“ წარმომადგენლებს და ადვოკატ ალექსანდე გიოშვილს ჰქონდათ ნეგატიური დამოკიდებულება, რაც კიდევ უფრო გაამწვავა ადვოკატი სალომე აბესლამიძის და მისი კოლეგის გამოჩენამ.

3.5 მომჩივანის შეკითხვაზე, თუ ვინ იყო „ჯიექს კვადრატის“ ოფისში მომხდარი კონფლიქტის ინიციატორი, გიორგი მაისურაძემ აღნიშნა, რომ კონფლიქტის ინციატორი იყო ადვოკატი ალექსანდრე გიოშვილი, რომელმაც თავიდანვე უხეში ფორმით განაცხადა, რომ საჩივრის ავტორის მონაწილეობით მოლაპარაკება არ შედგებოდა, ასევე წამოდგა ფეხზე, განაცხადა, რომ თუ ესენი იქნებიან თქვენი ადვოკატები ფულს ვერ დაბრუნებთო და მთელი ხმით ყვიროდა „გაეთრიეთ ოფისიდან“.

3.6 ადვოკატ სალომე აბესლამიძის შეკითხვაზე, ჰქონდა თუ არა მისი მხრიდან რაიმე სახის პროვოკაციულ ქმედებას ადგილი, რამაც გამოიწვია ადვოკატ ალექსანდრე გიოშვილის გაღიზიანება და სიტუაციის დაძაბვა, მოწმემ განმარტა, რომ მსგავსი სახის ქმედებას ადგილი არ

ჰქონდა, პირიქით სიტუაციის განმუხტვის მიზნით საჩივრის ავტორმა ალექსანდრე გიოშვილის მოთხოვნის საპასუხოდ, რომლის თანახმადაც ის ითხოვდა მინდობილობას, განაცხადა, რომ დროებით დატოვებდა შეხვედრას, გააფორმებდა მინდობილობას და შეხვედრაზე დაბრუნდებოდა, რამაც ადვოკატი ალექსანდრე გიოშვილი კიდევ უფრო გააღიზიანა.

3.7 მომჩივანის შეკითხვაზე იღებდა თუ არა ადვოკატი ალექსანდრე გიოშვილი მომჩივანისა და მისი კოლეგის შპს „ჯიექს კვადრატის" ოფისში არსებული ოთახიდან გაყვანის მცდელობაში მონაწილეობას, გიორგი მაისურაძემ განაცხადა, რომ ადვოკატი ალექსანდრე გიოშვილი ყველაზე აქტიურად მონაწილეობდა აღნიშნულ პროცესში, მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა ფიზიკური ანგარიშსწორების მცდელობას მომჩივანი კოლეგის მიმართ, ასევე ყვიროდა „გაეთრიეთ ოფისიდან" და ადგილი ჰქონდა გინების ფაქტს, როგორც მომჩივანის, ასევე მისი კოლეგის მიმართ.

3.8 საჩივრის ავტორის შეკითხვაზე, გააფორმეს თუ არა შპს „ჯიექს კვადრატის" ოფისში მომხდარი ინციდენტის შემდგომ მარწმუნებლებმა საჩივრის ავტორთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, მოწმემ უპასუხა, შპს „ჯიექს კვადრატის" ოფისში მომხდარი ინციდენტის შემდგომ მარწმუნებლებმა გადაწყვიტეს, რომ ხელშეკრულება გაეფორმებითან სხვა ადვოკატთან, თუმცა ამის განმაპირობებელი კონკრეტული მიზეზი არ დაუსახელებიათ.

4. ადვოკატის პოზიცია:

4.1 ადვოკატ ალექსანდრე გიოშვილს 2023 წლის 11 მაისს გაეგზავნა საჩივარი, თანდართული დოკუმენტებით და სატელეფონო კომუნიკაციის შედეგად ეცნობა ეთიკის კომისიაში მის წინააღმდეგ შემოსულ საჩივარზე. ადვოკატს არ წარმოუდგენია წერილობითი ახსნა-განმარტება, ის ჩაერთო საპროცესო კოლეგიის 2022 წლის 26 ივლისა და 2023 წლის 26 მაისის სხდომაზე და ზეპირად დააფიქსირა საკუთარი პოზიცია, საჩივართან დაკავშირებით.

4.2 ადვოკატ ალექსანდრე გიოშვილს 2023 წლის 26 სექტემბერს გაეგზავნა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ. 2023 წლის 17 ოქტომბერს ადვოკატს სატელეფონო კომუნიკაციის შედეგად ეცნობა იმის თაობაზე, რომ განხილვის კოლეგიის სხდომა ჩანიშნული იყო 2023 წლის 25 ოქტომბერს, თუმცა ადვოკატი ალექსანდრე გიოშვილი არ გამოცხადდა სხდომაზე და არც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ მიუთითებია, რის შემდგომაც განხილვის კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება სხდომის გადადების შესახებ. 2023 წლის 26 ოქტომბერს ადვოკატ ალექსანდე გიოშვილს სატელეფონო კომუნიკაციისა და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ეცნობა, რომ განხილვის სხდომა ჩაინიშნა 2023 წლის 30 ოქტომბერს, თუმცა ადვოკატი კვლავ არ გამოცხადდა აღნიშნულ სხდომაზე, რის გამოც, კომისიამ მოპასუხე ადვოკატის ხელმეორედ გამოუცხადებლობა, არასაპატიოდ ჩათვალა და საქმე განიხილა მისი მონაწილეობის გარეშე. კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატის იმ ახსნა-განმარტებით, რომელიც მან ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიას მიაწოდა საქმისწარმოების საპროცესო ეტაპზე.

4.3 საპროცესო კოლეგიის 2023 წლის 26 მაისის სხდომაზე, ადვოკატმა ალექსანდრე გიოშვილმა განმარტა, რომ მას თავისი კოლეგების მიმართ სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებია. ადვოკატი ადასტურებს, რომ მომჩივანი რამდენიმე სამოქალაქო დავაში წარმოადგენდა და წარმოადგენს კომპანიის მიმართ დაპირისპირებული ინტერესის მქონე პირებს და არსებული დავებიდან გამომდინარე მას, კომპანიის წარმომადგენლებთან აქვს დაძაბული ურთიერთობა.

4.4 მოპასუხე ადვოკატის განმარტებით, ის შეხვედრას თავიდანვე ესწრებოდა და მას შემდეგ, რაც ადვოკატებმა ვერ წარმოადგინეს მათი მარწმუნებლების მინდობილობები, „პირდაპირი ფორმით“ მოსთხოვა კოლეგებს ოფისის დატოვება. ადვოკატის განმარტებით, მან კოლეგებს შეხვედრის დატოვება, ერთი მხრივ, მოსთხოვა იმ საფუძვლით, რომ მათ ვერ შეძლეს მარწმუნებლების მინდობილობების წარმოდგენა და მეორე მხრივ, ის შეეცადა თავიდან აერიდებინა მოსალოდნელი დაპირისპირება, რომელიც კომპანიის წარმომადგენლებსა და მომჩივან ადვოკატს შორის, არსებული დაძაბული ურთიერთობიდან მომდინარეობდა.

4.5 მოპასუხე ადვოკატის განმარტებით, მომჩივანმა არ გაითვალისწინა მისი კანონიერი მითითება და შეეცადა პროვოკაციას, რამაც საბოლოო ჯამში გაამწვავა სიტუაცია და მხარეები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ადვოკატის განმარტებით შექმნილ უსიამოვნებაში, ის ცდილობდა მდგომარეობის დამშვიდებასა და კოლეგების დაცვას, რაც ნათლად არის ასახული თავად მომჩივანის მიერ წარმოდგენილ ვიდეო ჩანაწერში. ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე ადვოკატი მიიჩნევს, რომ საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

5. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

2023 წლის 26 მაისს პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ალექსანდრე გიოშვილის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. კერძოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვის ეტაპზე დადგინდება, რომ ალექსანდრე გიოშვილმა შეხვედრის დაწყების მომენტიდან, ყვირილით და აგრესიული ტონით წარმართა კოლეგებთან კომუნიკაცია, ბილწსიტყვაობდა მათი მისამართით და მიმართა ფრაზით „გაეთრიეთ ოფისიდან“, „თაღლითები ხართ“, „თქვენ ამათი წარმომადგენლობის უფლება არ გაქვთ“, „თქვენი მონაწილეობით მოლაპარაკება არ შედგება“ ადვოკატი ალექსანდრე გიოშვილის მხრიდან დარღვეული იქნება კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები 7, 10.1).

II სამოტივაციო ნაწილი:

6 საქმის ფაქტები:

6.1 უდავო ფაქტები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე მოწმეების მიერ მიცემული ჩვენებებიდან და საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

6.1.1 2023 წლის 20 აპრილს, ადვოკატ სალომე აბესლამიძეს, Facebook აპლიკაცია „მესენჯერის“ საშუალებით დაუკავშირდნენ შპს „ჯიექს კვადრატთან“ დაპირისპირებული ინტერესების მქონე პირები და სთხოვეს, რომ ადვოკატ სალომე აბესლამიძეს დაეცვა მათი ინტერესები, 2023 წლის 21 აპრილს ჩანიშნულ შეხვედრაზე „ჯიექს კვადრატის“ წარმომადგენლებთან, რაზეც ადვოკატმა განაცხადა თანხმობა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. საჩივრის ავტორის წერილობითი ახსნა-განმარტება;
2. მოწმე ვანო ჩიტაშვილის განმარტება;
3. მოწმე გიორგი მაისურაძის განმარტება;
4. ეთიკის კომისიის 2023 წლის 30 ოქტომბრის სხდომის ოქმი;

6.1.2 2023 წლის 21 აპრილს შპს „ჯიექს კვადრატის“ ინტერესებს იცავდა ადვოკატი ალექსანდრე გიოშვილი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა წერილობითი ახსნა-განმარტებები.

6.1.3 შპს „ჯიექს კვადრატის“ ოფისში 2023 წლის 21 აპრილს ჩანიშნულ შეხვედრაზე ადვოკატი სალომე აბესლამიძე გამოცხადდა მის მარწმუნებლებთან ერთად, მინდობილობის გარეშე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ზეპირი და წერილობითი ახსნა-განამარტებები;
2. მოწმე ვანო ჩიტაშვილის განმარტება;
3. მოწმე გიორგი მაისურაძის განმარტება;
4. ეთიკის კომისიის 2023 წლის 30 ოქტომბრის სხდომის ოქმი.

6.1.4 2023 წლის 21 აპრილს „ჯიექს კვადრატის“ ოფისში გამართული შეხვედრის დროს, ადვოკატმა ალექსანდრე გიოშვილმა საკუთარ კოლეგას - ადვოკატ სალომე აბესლამიძეს მოსთხოვა მარწმუნებლებთან გაფორმებული მინდობილობის წარმოდგენა და მას შემდგომ, რაც საჩივრის ავტორმა ვერ წარმოადგინა მინდობილობა, ადვოკატმა ალექსანდრე გიოშვილმა მას მოსთხოვა შპს „ჯიექს კვადრატის“ ოფისის დატოვება.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ეთიკის კომისიის 2023 წლის 30 ოქტომბრის სხდომის ოქმი;
2. მხარეთა ახსნა-განმარტება;
3. მოწმე ვანო ჩიტაშვილის განმარტება;
4. მოწმე გიორგი მაისურაძის განმარტება.

6.2 საქმეში დადგენილი სადავო ფაქტები:

6.2.1 ადვოკატი ალექსანდრე გიოშვილი შპს „ჯიექს კვადრატის“ ოფისში გამართული შეხვედრის დროს კოლეგებს მიმართავდა ხმამაღლა/ყვირილით და აგრესიულად, ასევე მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა ბილწსიტყვაობას და კოლეგებს მიმართა შემდეგი სიტყვებით „გაეთრიეთ აქედან“, „თქვენ ამათი წარმომადგენელი ვერ იქნებით“, „თქვენი მონაწილეობით, მორიგება არ შედგება“. ადვოკატმა, ასევე მიმართა უშუალოდ მხარეებს შემდეგი სიტყვებით: „თუ თქვენ მაგათთან (მომჩივან ადვოკატთან და მის კოლეგასთან) ერთად იქნებით, ვერაფერს მიიღებთ, თანხებს ვერასდროს ვერ აიღებთ“. 2023 წლის 21 აპრილს შპს „ჯიექს კვადრატის“ ოფისში მომხდარი ინციდენტის შემდგომ კი არცერთ მარწმუნებელს არ გაუფორმებია ადვოკატ სალომე აბესლამიძესთან საადვოკატო ხელშეკრულება

6.2.2 საქმეზე წარმოდგენილი მოწმეების ჩვენებების, არსებული ვიდეო-ჩანაწერისა და მომჩივანის ახსნა-განმარტების გათვალისწინებით, რომლებიც ერთმანეთს ემთხვევა, როგორც შინაარსობრივად, ასევე ფაქტების ქრონოლოგიით, განხილვის კოლეგიამ დაადგინა ზემოაღნიშნული ფაქტი.

6.2.3 განხილვის კოლეგია იზიარებს საპროცესო კოლეგიის განმარტებას, რომლის მიხედვითაც, კოლეგიალობის პრინციპის შინაარსიდან გამომდინარე, კოლეგიალობის პრინციპის დარღვევის მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ პირს, ვინც უთითებს, რომ ადვოკატმა აღნიშნული პროფესიული ქცევის წესი დაარღვია. „კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს“ (თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/183-11).

6.2.4 შესაბამისად, განხილვის ეტაპზე მტკიცების ტვირთი იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა ალექსანდრე გიოშვილმა, 2023 წლის 21 აპრილს შპს „ჯიექს კვადრატის“ ოფისში გამართული შეხვედრის დროს, მის მიერ განხორციელებული ქმედებებით, დაარღვია კოლეგიალობის პრინციპი ეკისრება საჩივრის ავტორს. ამასთან მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს, საქმის საპროცესო ეტაპზე დისციპლინური დევნის დაწყებისთვისა და საქმის განხილვის ეტაპზე, ფაქტის დადგენილად მიჩნევისთვის, საკმარისი მტკიცებითი სტანდარტები. საპროცესო ეტაპზე სადავო ფაქტის დასადგენად, კომისია ხელმძღვანელობს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით. ამ სტანდარტის დასაკმაყოფილებლად, გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება საკმარისი იყოს მხოლოდ საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტებაც, თუ ის არ იქნება

კონკრეტულად ან კვალიფიცირებულად შედავებული ადვოკატის მიერ. რაც შეეხება განხილვის ეტაპზე საჭირო მტკიცების სტანდარტს, იმისთვის რომ დისციპლინურმა კოლეგიამ საქმეზე მიიღოს გადაწყვეტილება, აუცილებელია ფაქტები არა დასაბუთებული ვარაუდის, არამედ სარწმუნო მტკიცებითი სტანდარტით იყოს დადგენილი, რა დროსაც კოლეგია ეყრდნობა სარწმუნო/დამაჯერებელ მტკიცებულებებს, რომლებიც პირდაპირ მიუთითებენ ფაქტის სისწორეზე.

6.2.5 საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად, საჩივრის ავტორმა იშუამდგომლა ვანო ჩიტაშვილისა და გიორგი მაისურაძის მოწმედ დაკითხვის თაობაზე, რადგანაც აღნიშნული პირები შეესწრნენ შპს „ჯიექს კვადრატის“ ოფისში, 2023 წლის 21 აპრილს მომხდარ ინციდენტს. ასევე, საჩივრის ავტორმა წარმოადგინა 2023 წლის 21 აპრილით დათარიღებული ვიდეო-ჩანაწერი, სადაც ასახულია შპს „ჯიექს კვადრატის“ ოფისში მომხდარი ინციდენტის ერთ-ერთი ეპიზოდი. მოწმეებმა მონაწილეობა მიიღეს 2023 წლის 30 ოქტომბერს გამართულ განხილვის სხდომაში. მოწმეთა ჩვენებები თუ როგორ მოქმედებდა ადვოკატი ალექსანდრე გიოშვილი შეხვედრისას, შინაარსობრივად ემთხვევა როგორც ერთმანეთს, ასევე ადვოკატ სალომე აბესლამიძის მიერ მითითებულ ფაქტებს. მოწმეები ადასტურებენ, რომ ადვოკატი ალექსანდრე გიოშვილი შეხვედრის დაწყების მომენტიდან აგრესიულად იყო განწყობილი საჩივრის ავტორისა და მისი თანმხლები ადვოკატის მიმართ, კერძოდ ადვოკატებს მიმართავდა ყვირილითა და უხეში ფორმით. მოწმეებმა დაადასტურეს, რომ ადვოკატი ალექსანდრე გიოშვილი, სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა ადვოკატებს და ბილწსიტყვაობდა მათი მისამართით. მოწმეებმა ასევე დაადასტურეს, რომ ადვოკატმა ალექსანდრე გიოშვილმა ადვოკატებს აგრესიული ტონით, ყვირილით რამდენჯერმე მიმართა ფრაზებით, „გაეთრიეთ აქედან“, „თქვენ ამათი წარმომადგენელი ვერ იქნებით“, ხოლო საჩივრის ავტორის მცდელობამ, რომ განემუხტა სიტუაცია და გასულიყო მინდობილობის გასაკეთებლად, რის შემდგომაც კვლავ დაბრუნდებოდა შეხვედრაზე, კიდევ უფრო გააღიზიანა ადვოკატი ალექსანდრე გიოშვილი. მოწმეებმა, ასევე, დაადასტურეს, რომ შპს „ჯიექს კვადრატის“ ოფისში, 2023 წლის 21 აპრილს მომხდარი ინციდენტის შემდგომ არცერთ მარწმუნებელს ადვოკატ სალომე აბესლამიძესთან აღარ გაუფორმებია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და მათ გადაწყვიტეს, რომ მოეძებნათ სხვა ადვოკატი, რაც მოწმეების შეფასებით, კავშირში იყო შპს „ჯიექს კვადრატის“ ოფისში მომხდარ ინციდენტთან. საჩივრის ავტორმა ასევე წარმოადგინა 2023 წლის 21 აპრილით დათარიღებული ვიდეო ჩანაწერი, სადაც ასახულია შპს „ჯიექს კვადრატის“ ოფისში მომხდარი ინციდენტის ნაწილი. აღნიშნულ ვიდეო-მასალაში გარკვევით ისმის, რომ ადვოკატი ალექსანდრე გიოშვილი ხმამაღალ ტემპრში რამოდენიმეჯერ აჟღერებს ფრაზას „გადი ოფისიდან“ (ვიდეოს 00:00:09წმ და 00:00:17წმ). თავის მხრივ, მოპასუხე ადვოკატმა საკუთარი პოზიციის დასამტკიცებლად, მხოლოდ საკუთარი ზეპირი ახსნა-განმარტების უფლებით ისარგებლა, დისციპლინური საქმის წარმოების საპროცესო ეტაპზე და საქმესთან დაკავშირებით განხილვის კოლეგიას არ წარმოუდგინა მისი პოზიციის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულება.

7. **შემაჯამებელი დასკვნა:**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტება და ადგენს, რომ ადვოკატ ალექსანდრე გიოშვილის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა, კერძოდ, დარღვეულია კოლეგიალობის ეთიკური ვალდებულება (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდეგში - „ეთიკის კოდექსი", მუხლები: 7, 10.1)

8. **სამართლებრივი შეფასება:**

8.1 განხილვის კოლეგია გაეცნო საქმეში წარმოდგენილ მასალებს, მოისმინა მხარეთა პოზიციები და დაადგინა, რომ ადვოკატი ალექსანდრე გიოშვილი შპს „ჯიექს კვადრატის" ოფისში გამართული შეხვედრის დროს კოლეგებს მიმართავდა ხმამაღლა/ყვირილით და აგრესიულად, ასევე მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა ბილწსიტყვაობას და კოლეგებს მიმართა შემდეგი სიტყვებით „გაეთრიეთ აქედან", „თქვენ ამათი წარმომადგენელი ვერ იქნებით", „თქვენი მონაწილეობით, მორიგება არ შედგება". ადვოკატმა, ასევე მიმართა უშუალოდ მხარეებს შემდეგი სიტყვებით: „თუ თქვენ მაგათთან (მომჩივან ადვოკატთან და მის კოლეგასთან) ერთად იქნებით, ვერაფერს მიიღებთ, თანხებს ვერასდროს ვერ აიღებთ". 2023 წლის 21 აპრილს შპს „ჯიექს კვადრატის" ოფისში მომხდარი ინციდენტის შემდგომ კი არცერთ მარწმუნებელს არ გაუფორმებია ადვოკატ სალომე აბესლამიძესთან საადვოკატო ხელშეკრულება. ადვოკატ ალექსანდრე გიოშვილის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

„ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები" (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 7 მუხლი).

„ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას" (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 10.1 მუხლი).

8.2 ადვოკატი, პროფესიის თვითრეგულირებიდან და მისი კორპორაციული არსიდან გამომდინარე ვალდებულია, საკუთარი ქცევით ხელი შეუწყოს პროფესიის პრესტიჟს, აღნიშნულის მისაღწევად უპირატესად გასათვალისწინებელია ადვოკატთა შორის ურთიერთპატივისცემა. ადვოკატი ვალდებულია შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პრეამბულა).

8.3 საქართველოს კონსტიტუცია, ისევე, როგორც, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, უზრუნველყოფს ყოველი ადამიანის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, აღნიშნული უფლება არ არის აბსოლუტური და ის შეიძლება შეიზღუდოს, სხვათა კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დასაცავად. „მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატები სრულად სარგებლობენ აღნიშნული უფლებით, მათ ეკისრებათ, როგორც სიტყვისა და გამოხატვის უფლების ზოგადი წესით დადგენილი შეზღუდვის დაცვის ვალდებულება, ასევე, ადვოკატთა პროფესიული რეპუტაციისა და საერთო კორპორაციული ინტერესების უზრუნველყოფა. სწორედ, კორპორაციული ინტერესების დაცვა და

საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი ნდობის გაღრმავება არის ის ძირითადი მიზანი, რის გამოც ადვოკატებს, სხვა პირებისაგან განსხვავებით, გამოხატვის თავისუფლების უფრო შეზღუდული ფარგლები გააჩნიათ“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის, შემდეგში „ეთიკის კომისიის“ 2023 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე №098/22).

8.4 „კოლეგიალობის პრინციპი, ნეგატიური ვალდებულების ძალით აკისრებს ადვოკატს კოლეგის შეურაცხყოფისგან თავის შეკავების მოვალეობას, ხოლო პოზიტიური ვალდებულების ძალით, მოითხოვს მისგან კოლეგის მიმართ ღირსეული, ურთიერთპატივსაცემი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. მიუხედავად აღნიშნული პრინციპით მისაღწევი, საერთო კორპორაციული ინტერესისა, კოლეგიალობის პრინციპის დაცვის პოზიტიური ვალდებულება, ადვოკატებს შორის დაპირისპირების არსებობის შემთხვევაში, კარგავს აქტუალურობას და კონფლიქტში მყოფ პირებს სავალდებულო ძალით ვერ სთხოვს ერთმანეთის მიმართ, დადებითი, ურთიერთპატივსაცემი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ამის საპირისპიროდ კოლეგებს შორის კონფლიქტური ურთიერთობის ჩამოყალიბების შემთხვევაში, პოზიტიური ვალდებულების მოქმედების შემცირების პროპორციულად, იზრდება კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ნეგატიური ვალდებულების ფორმა და კონფლიქტში მყოფი ადვოკატებისგან, გამკაცრებულად მოითხოვს, კოლეგიალობის პრინციპის დაცვას. კერძოდ, კოლეგიალობის პრინციპი მოითხოვს, ადვოკატებმა შეინარჩუნონ ერთმანეთის მიმართ ნეიტრალური დამოკიდებულება, პირადი შეურაცხოფისა და დამცირების მიზნის გარეშე“ (ეთიკის კომისიის 2023 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე №098/22).

8.5 „კოლეგიალობის პრინციპი უპირობოდ გულისხმობს კოლეგების ღირსებისა და პროფესიული ღირებულებების დაცვას, რაც ადვოკატს ავალდებულებს კორექტული გამონათქვამებით შემოიფარგლოს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. ადვოკატი ვალდებულია პატივისცემა გამოხატოს კოლეგებისადმი, მიუხედავად მათი სამართლებრივად ან სხვაგვარად საწინააღმდეგო მოსაზრების არსებობისა. კოლეგიალობის პრინციპი ვერ ჩაითვლება მხოლოდ ფორმალურ ქცევათა შესრულების მოთხოვნად, იგი უდავოდ გულისხმობს ქცევის შინაარსობრივ მხარესაც, რაც აუცილებელია კოლეგებთან ურთიერთობის დროს“ (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15/04/2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე №1ბ/სპ-07-16).

8.6 განხილვის ეტაპზე დადგინდა, რომ ადვოკატი ალექსანდრე გიოშვილი წარმოშობილ დავაში წარმოადგენდა კომპანიის, შპს „ჯიექს კვადრატის“ ინტერესებს, ხოლო კომპანიასთან დაპირისპირებული ინტერესების მქონე პირებს, მოლაპარაკების დროს, კოლეგასთან ერთად, წარმოადგენდა ადვოკატი სალომე აბესლამიძე. მხარეებს შორის, მოლაპარაკების მიზნით გამართულ შეხვედრაზე, ადვოკატი სალომე აბესალამიძე და მისი კოლეგა, საკუთარ მარწმუნებლებთან ერთად გამოცხადნენ, თუმცა მათ არ ჰქონდათ შედგენილი შესაბამისი მინდობილობები, რომლის წარმოდგენაც მოითხოვა მეორე მხარემ - ადვოკატმა ალექსანდრე გიოშვილმა, რის შემდგომაც მან სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა კოლეგებს, ბილწსიტყვაობდა მათი მისამართით და აქტიურად მიმართავდა შემდგომი სახის ფრაზებით „გაეთრიეთ აქედან“,

„თქვენ ამათი წარმომადგენელი ვერ იქნებით“, „თქვენი მონაწილეობით მორიგება ვერ შედგება“. განხილვის კოლეგიის განმარტებით, მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატ ალექსანდრე გიოშვილის მიერ განხორციელებული ქმედებები და გაკეთებული განცხადებები თავისი შინაარსით, ფორმითა და კონტექსტით, პროფესიული კრიტიკის უფლების გათვალისწინებით შეფასდეს.

8.7 კომისიამ შეაფასა კონფლიქტის დაწყების ფორმალური მიზეზი - „მინდობილობების არქონა“, რასთან დაკავშირებითაც განმარტავს, რომ აღნიშნული არ უნდა ყოფილიყო კონფლიქტის წარმოქმნის საფუძველი იმ პირობებში, როდესაც ადვოკატებს თან ახლდნენ მარწმუნებლები. მინდობილობა წარმოადგენს იურიდიული მნიშნელობის მქონე დოკუმენტს, რომელიც რწმუნებულს ანიჭებს უფლებამოსილებას მარწმუნებლის სახელით იმოქმედოს და მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მოაწეროს ხელი დოკუმენტს. საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას მინდობილობის ან ორდერის წარდგენა სავალდებულოა მხოლოდ გამოძიების ორგანოებში ან სასამართლოში (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 19.2). მოლაპარაკების დროს, როდესაც ადვოკატებთან ერთად იმყოფებიან მათი კლიენტები - მოლაპარაკების მხარეები, არ არის სავალდებულო მინდობილობების გაფორმება, რადგან მხარე ადგილზეა წარმოდგენილი და გამოხატავს მის ნებას, რომ ადვოკატმა წარმოადგინოს მისი ინტერესები. ამ მხრივ, გასათვალისწინებელია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებაც. „საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება არის დავალების ხელშეკრულება“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 709; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 31.03.2017 წლის გადაწყვეტილება, საქმე №დს-შ/1-17). „სამოქალაქო კოდექსით დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელ მუხლებში გათვალისწინებული არ არის სპეციალური მოთხოვნა ხელშეკრულების ფორმის თაობაზე. ამდენად, მხარეებს შორის იგი შეიძლება დაიდოს როგორც წერილობით, ისე ზეპირად“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 31.03.2017 წლის გადაწყვეტილება, საქმე №დს-შ/1-17). შესაბამისად, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება არის დავალების ხელშეკრულება, რომელიც ნამდვილობისათვის არ საჭიროებს წერილობით ფორმას; ხოლო, ადვოკატი, საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ხელშეკრულების (და არა მინდობილობის) საფუძველზე (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 19.1). მომჩივანი ადვოკატის და მოწმეთა ჩვენებებით დადგინდა, რომ მათ შორის, ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, წარმოიშვა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა და ადვოკატი მოლაპარაკებების დროს მოქმედებდა მისი უფლებამოსილების ფარგლებში, ის უფლებამოსილი იყო მოლაპარაკების დროს დაეცვა მისი კლიენტების ინტერესები. შესაბამისად, კომისიის შეფასებით, მინდობილობების წარუდგენლობა იყო მხოლოდ ფორმალური მიზეზი იმისა, რომ შეხვედრა ჩაშლილიყო, მით უფრო იმ პირობებში, რომ მოპასუხე ადვოკატს, თავად არ წარუდგენია მინდობილობა, რაც ფასდება „ორმაგ სტანდარტად“. თუ მოპასუხე ადვოკატს მიაჩნდა, რომ მინდობილობის გარეშე, მხარეთა მონაწილეობის მიუხედავად, მომჩივანი ადვოკატი არ იყო უფლებამოსილი კლიენტების ინტერესები დაეცვა, ამ ლოგიკით, არც თავად მოპასუხე ადვოკატი იყო უფლებამოსილი კომპანიის სახელით ემოქმედა, გაეყარა მხარეთა წარმომადგენლები შეხვედრიდან და უარი ეთქვა მორიგებაზე მინდობილობის გარეშე.

8.8 ამასთან, კომისია ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხე არის სისხლის სამართლის კვალიფიკაციის მქონე ადვოკატი და მის კომპანიას სამოქალაქო საქმეზე წარმოადგენდა, რაც, ეთიკის კომისიის ერთგვაროვანი პრაქტიკით ფასდება, როგორც არაკვალიფიციური წარმომადგენლობა, თუმცა, რადგან ამ ნაწილში დისციპლინური დევნა არ არის აღძრული, კომისია მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს ამ საკითხზე.

8.9 განხილვის კოლეგია ადგენს, რომ ადვოკატ ალექსანდრე გიოშვილის მხრიდან საკუთარი კოლეგებისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება, მათი მისამართით ბილწსიტყვაობა და გაჟღერებული ფრაზები „გაეთრიეთ აქედან“, „თქვენ ამათი წარმომადგენლები ვერ იქნებით“, „თქვენი მონაწილეობით მორიგება არ შედგება“, არღვევს ეთიკურ ვალდებულებებს. ეს გამონათქვამები მიზნად ისახავდა შპს „ჯიექს კვადრატის“ ოფისში არსებული დაძაბული სიტუაციის გამწვავებასა და ადვოკატების დისკრედიტაციას მათი კლიენტების თვალში, რადგანაც შპს „ჯიექს კვადრატის“ ოფისში მომხდარ ინციდენტს ესწრებოდნენ ადვოკატ სალომე აბესლამიძის კლიენტები და აღნიშნული სახის განცხადებებს შესაძლოა მათ თვალში შეელახა ადვოკატ სალომე აბესლამიძის საქმიანი რეპუტაცია, რაც გამოიხატა იმ ფაქტშიც, რომ შპს „ჯიექს კვადრატის“ ოფისში, 2023 წლის 21 აპრილს, მომხდარი ინციდენტის შემდგომ არცერთ მარწმუნებელს ადვოკატ სალომე აბესლამიძესთან არ გაუფორმებია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება.

8.10 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ალექსანდრე გიოშვილის მიერ გამოყენებული ტერმინები ასახავს არაპოზიტიურ დამოკიდებულებას ადვოკატ სალომე აბესლამიძის მიმართ და ზიანს აყენებს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში არსებულ ნდობას. ალექსანდრე გიოშვილს, როგორც ადვოკატს ევალებოდა უზრუნველყო მოლაპარაკებებისთვის შესაბამისი გარემო და თავად კი არ გამოეწვია მხარეთა შორის დაძაბულობა, არამედ დაპირისპირების წარმოშობის საფრთხის შემთხვევაშიც კი განემუხტა ის, რაც პირველ რიგში კოლეგასთან კონსტრუქციული კომუნიკაციით მიიღწევა.

8.11 შესაბამისად, ადვოკატ ალექსანდრე გიოშვილის მხრიდან დგინდება კოლეგიალობის პრინციპის დარღვევა (ეთიკის კოდექსი, მუხლები 7, 10.1), რადგან მის მიერ გამოყენებული ტერმინები არ ჯდება გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში; წარმოთქმული წინადადებების შინაარსი, ფორმა თუ კონტექსტი არის შეურაცხმყოფელი და მიზნად ისახავდა არა კლიენტის ინტერესების დაცვას, არამედ, კოლეგის პიროვნულ დისკრედიტაციასა და შეურაცხყოფას. ამასთან, წარმოთქმულმა ფრაზებმა გამოიწვია ადვოკატ სალომე აბესლამიძის ღირსების შელახვა და ადვოკატის მხრიდან კოლეგა ადვოკატის მიმართ პატივისცემის ვალდებულების დარღვევა.

8.12 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება (მუხლი 2.5) პირდაპირ უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი. „მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომიდინარე, საუბარია ადვოკატის პროფესიისათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრაზე. თუმცა ეს არ გამორიცხავს კლიენტისათვის მიყენებული ზიანის გათვალისწინების შესაძლებლობასაც“

(საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N098/17).

8.13 „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 01.04.2015 წლის გადაწყვეტილება, საქმე დს–შ/3–15).

8.14 „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 22.05.2017 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე #დს-შ/3-17).

8.15 შესაბამისად, განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა საქმეში მოცემული გარემოებებით, მხედველობაში მიიღო მოპასუხე ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი გადაცდომის მიმართ, ადვოკატის პროფესიისადმი მიყენებული ზიანი, ეთიკის კომისიის პრაქტიკა მსგავსი ტიპის დისციპლინური გადაცდომების მიმართ (ეთიკის კომისიის 2023 წლის 07 ივნისის გადაწყვეტილება, დისციპლინურ საქმეზე N098/22; ეთიკის კომისიის 2023 წლის 07 თებერვლის გადაწყვეტილება, დისციპლინურ საქმეზე N092/22 (აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში, რომელმაც 07.02.2023 წლის გადაწყვეტილებით ძალაში დატოვა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, სადაც ადვოკატს დაეკისრა გაფრთხილება კოლეგიალობის პრინციპის დარღვევისთვის, დისციპლინური საქმე Nსსდ-05-23); ეთიკის კომისიის 2019 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება, დისციპლინურ საქმეზე N033/18), ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით და ადგენს, რომ ადვოკატ ალექსანდრე გიოშვილის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისათვის მას უნდა განესაზღვროს დისციპლინური სახდელი გაფრთხილების სახით, რაც მისი ქმედებიდან გამომდინარე, წარმოადგენს დისციპლინური პასუხისმგებლობის პროპორციულ ფორმასა და ზომას.

8.16 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34.1(ა)-ე, 35-ე, 35^1-ე, 36-ე მუხლებით; ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 4.5, 4.6, 19, 20, 33, 35, 40.2 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №037/23 დადგინდეს ადვოკატ ალექსანდრე გიოშვილის /სიითი№ 2541/ მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.
2. დისციპლინურ საქმეზე №037/23 ადვოკატ ალექსანდრე გიოშვილის /სიითი№ 2541/ მიმართ, დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
4. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ინგა ნებიერიძე/

კოლეგიის წევრი: /ნათია ჩიტაშვილი/